საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №773
2014 წლის 9 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებაში (ვებგვერდი, 22/01/2014, სარეგისტრაციო კოდი - 140130000.22.034.016271) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლით დამტკიცებული №49 და №50 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჭიკაიძე**

დანართი №49

ტერიტორიული ორგანოები (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს, ადმინისტრაციის (სამმართველოს) უფროსის, საერთო განყოფილების, კანცელარიის, კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილებისა და კინოლოგიის ჯგუფის გარდა)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
მთავარი სამმართველოს უფროსი	2 495
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	2 070
სამმართველოს (რაიონული, საქალაქო) უფროსი	1 875
სამმართველოს უფროსი	1 675
სამმართველოს (რაიონული, საქალაქო) უფროსის მოადგილე	1 250
სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 250
განყოფილების უფროსი (დეტექტივ-გამომძიებელი)	1 240
განყოფილების უფროსის მოადგილე (დეტექტივ-გამომძიებელი)	1 230
დეტექტივ-გამომძიებელი	1 220

დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი	965
განყოფილების უფროსი-გამომძიებელი	1 200
განყოფილების უფროსის მოადგილე-გამომძიებელი	1 150
უბნის უფროსი ინსპექტორი-გამომძიებელი, მთავარი სპეციალისტი (მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწე)	855
უბნის ინსპექტორი-გამომძიებელი	820
უბნის უმცროსი ინსპექტორი	785

დანართი №50

ტერიტორიული ორგანოების (ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს გარდა)ადმინისტრაციის(სამმართველოს) უფროსი, საერთო განყოფილება, კანცელარია, კადრებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილება და კინოლოგიის ჯგუფი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
სამმართველოს უფროსი	1 675
განყოფილების უფროსი	965
განყოფილების უფროსის მოადგილე	910
მთავარი სპეციალისტი	785
წამყვანი სპეციალისტი	745
სპეციალისტი	710
დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი, ტექნიკოსი, მზარეული)	500
დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი, მუშა-ხელოსანი)	350